



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

ვიზიტის თარიღი

29.09.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი

23.11.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	7
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	7
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.....	16
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	24
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....	32
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	44

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი შპს
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211359448
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	კოსტას მანტუზალოსი, ფრედერიკის უნივერსიტეტი, კვიპროსი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლევან სილაგაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო სანადირაძე, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო პატარაია, შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ვაჟა კელიხაშვილი, სსიპ - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ვიზუალური ხელოვნება
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Visual Art
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სახვითი ხელოვნების ბაკალავრი Bachelor of Fine Arts
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0213 Fine Arts 0213 სახვითი ხელოვნება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 2018 წლის 4 დეკემბერი გადაწყვეტილება №181
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	შემოქმედებითი ტური (პორტფოლიოს განხილვა)

²თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

³(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴**
 - ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა მიღებულია უკვე არსებული და აკრედიტებული პროგრამისგან, სახელწოდებით - ვიზუალური ხელოვნების და დიზაინის საბაკალავრო პროგრამა, რომელიც ხორციელდება ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის სკოლაში (VA[A]DS).
 - ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა არის 4-წლიანი, 240 ECTS-ით და კარგად არის აგებული თანმიმდევრული განვითარების მქონე კურსებით, რომლებიც მოიცავს როგორც თეორიას, ასევე პრაქტიკას. პროგრამა იყენებს სწავლების განახლებულ მეთოდოლოგიებს, რომლებიც ასევე იძლევა ექსპერიმენტული სწავლის საშუალებას ინდუსტრიიდან მომდინარე კურსების მეშვეობით (ცოცხალი პროექტები), რომლებიც მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა თანამედროვე ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, სტუდიური პრაქტიკა და ა.შ.
- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
 - ვიზიტის პირველი დღე, 29 სექტემბერი, დაიწყო რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან შეხვედრით, და შემდეგ გაგრძელდა თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელ ჯგუფთან შეხვედრით, ასევე გასაუბრებები შედგა პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ამის შემდეგ, დავათვალიერეთ დაწესებულება, მათ შორის ბიბლიოთეკა, საგამოცდო ცენტრი, IT სერვისები, აუდიტორიები და სტუდიები, ასევე საგამოფენო ცენტრი. დღის ბოლო 2 სესიის განმავლობაში გაიმართა დასკვნითი შეხვედრები დამსაქმებლებთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფთან.
- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
 - აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ყველა წევრი უმაღლესი მმართველი რგოლიდან დაწყებული მოწვეულ პერსონალით დამთავრებული მხარს უჭერს ახალ პროგრამას. უნივერსიტეტი მხარს უჭერს სხვადასხვა ფაკულტეტს ხელოვნებისა და დიზაინის პრაქტიკის განვითარებაში. შევხვდით ენთუზიაზმით სავსე სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს, ასევე დადებითად განწყობილ დაინტერესებულ მხარეებს და ზოგადად, ცხადი იყო, რომ უნივერსიტეტი არის სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, რომელიც ხელს უწყობს ხარისხს, თანასწორობას, მრავალფეროვნებას და ინკლუზიურობას. ასევე, ხელს უწყობს ახალგაზრდა პროფესიონალების გამოშვებას, რომლებიც ჩამოყალიბებული მოაზროვნეები და კომპეტენტური მუშაკები არიან.

⁴პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

- დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფა გამართულად მუშაობს და უზრუნველყოფს საფუძვლიან სისტემას ხარისხის შენარჩუნების მიზნით.
- ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა ყველა სტანდარტს შეესაბამება. კერძოდ:
 - სტანდარტი 1: სრულ შესაბამისობაშია
 - სტანდარტი 2: სრულ შესაბამისობაშია
 - სტანდარტი 3: სრულ შესაბამისობაშია
 - სტანდარტი 4: სრულ შესაბამისობაშია
 - სტანდარტი 5: სრულ შესაბამისობაშია
- რეკომენდაციები: N/A
- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: N/A
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵
- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე: ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია და იზიარებს მას, შესაბამისად, ამოღებული იქნა ის ორი რჩევა, რომელიც გაცემული იყო 2.2 და 5.2 ქვესტანდარტში.
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2018 წლის ბოლო აკრედიტაციის შემდეგ, პროგრამა განახლდა და გამდიდრდა თანამედროვე ხელოვნების შესახებ დამატებითი კონტენტით, რაც კურიკულუმში სასწავლო კურსის სახით დაინერგა. პროგრამის ყველა კურსი ასევე მუდმივად ახლდება თანამედროვე ხელოვნების სფეროს უახლესი ტრენდებისა და ტენდენციების მიხედვით, მათ შორის თეორიისა და პრაქტიკის, ასევე ტექნოლოგიური მიღწევების შესახებ ინფორმაციით.

⁵პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და დაწესებულების სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვიზიტამდე ჩვენთვის მოწოდებულ თვითშეფასების ანგარიშზე და ვიზიტის დროს გამართულ დისკუსიებზე დაყრდნობით (შეხვედრები რექტორთან, ადმინისტრაციის უფროსთან და დეკანთან, თვითშეფასების გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან სტუდენტები, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან) გამოვლინდა, რომ პროგრამის მიზნები ითვალისწინებს დისციპლინის სპეციფიკას, ასევე უნივერსიტეტის ხედვისა და მისიის ზოგად მიზანსა და ამოცანებს, რომლებიც გულისხმობს ისეთი კურსდამთავრებულების გამოშვებას, რომლებიც შემოქმედებით ინდუსტრიაში მაღალ პროფესიონალებად იქცევიან - როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდა სხვადასხვა საერთაშორისოდ აღიარებული ინსტიტუტების პრაქტიკის გათვალისწინებით, რომლებიც მსგავს დარგებში ახორციელებენ პროგრამებს; მიზნები 3 ძირითად ღერძზე ტრიალებს:

- საგანმანათლებლო საქმიანობა
- კვლევითი საქმიანობა
- ინტერნაციონალიზაცია

პროგრამის მიზნები ორიენტირებულია სტუდენტებში საბაზისო კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, რაც მოიცავს პირველად და მეორად წყაროებთან მუშაობის უნარს, იდენტიფიცირების, გაანალიზების, ექსპერიმენტირებისა

და პრობლემის გადამჭრელი შედეგების მოწოდების მიმართულებით. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს, კურსდამთავრებულს განუვითაროს კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის უნარი. სტუდენტები იძენენ ცოდნას და უნარებს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ხელოვნებისა და დიზაინის პრაქტიკაში და ხელს უწყობენ ქვეყნის კულტურულ განვითარებას.

მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, ისინი რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნების წვლილი საზოგადოებაში განსაზღვრულია ვიზუალური ხელოვნების მრავალფეროვანი დისციპლინით და ის ხელს უწყობს საზოგადოების ინტელექტუალურ განვითარებას, ახალგაზრდების აქტიურ ჩართვას თანამედროვე კულტურულ პროცესებში და ასევე აქტიურ როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოების კულტურულ-ესთეტიკური განვითარების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- გასაუბრებები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები: N/A

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის: N/A

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.
-

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვიზიტამდე ჩვენთვის მოწოდებულ თვითშეფასების ანგარიშზე და ვიზიტის დროს გამართულ დისკუსიებზე დაყრდნობით, გამოვლინდა, რომ პროგრამების სწავლის შედეგები ლოგიკურად არის შემუშავებული და დაკავშირებულია ვიზუალური ხელოვნების დარგის მოთხოვნებთან.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად ჩამოყალიბებულია, შეესაბამება ბაკალავრიატის დონეს და ითვალისწინებს ყველა იმ კომპონენტს, რაც სტუდენტებს სჭირდებათ იმისათვის, რომ გახდნენ უახლესი ცოდნისა და უნარების მქონე პროფესიონალები შემოქმედებით ინდუსტრიაში.

სწავლის შედეგების ფორმულირება იყო ზედმიწევნით განხორციელებული ეტაპობრივი პროცესი და ითვალისწინებდა ვიზუალური ხელოვნების დისციპლინის სახასიათო თავისებურებებს. ეს ეტაპობრივი პროცესი ასევე მოიცავდა დაინტერესებული პირების მონაწილეობას, კერძოდ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და დამსაქმებლებს/გარე შემფასებელს. სწავლის შედეგები აძლევს სტუდენტებს პასუხისმგებლობის გრძნობას, რათა უზრუნველყონ სწავლებისა და სწავლის უწყვეტი პროცესი პროგრამის დამთავრების შემდეგ. მისასაღებელია ის ცნება, რომ სტუდენტებს ასწავლით დამოუკიდებლად სწავლას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- გასაუბრებები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები: N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: N/A

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვიზიტამდე ჩვენთვის მოწოდებულ თვითშეფასების ანგარიშზე და ვიზიტის დროს გამართულ დისკუსიებზე დაყრდნობით, გამოვლინდა, რომ ბაკალავრიატის ოთხწლიანი ციკლის მიმდინარეობისას მოქმედებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომლებიც სისტემატურად ხორციელდება.

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფების მიერ ხორციელდება სრული ინსპექტირება და ხარისხთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. შეფასება და უკუკავშირი მოიცავს სასწავლო პერსონალის, სტუდენტების/კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისთვის განკუთვნილ კითხვარებს/ინტერვიუებს; ამ გამოკითხვების შედეგები გაანალიზებულია და გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის, თვითშეფასების ანგარიშისა და სილაბუსების განხილვის შედეგად ჩანს, რომ შეფასების ეს სისტემა გამჭვირვალეა და ითვალისწინებს დარგისა და განათლების სფეროს თავისებურებებს. სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებიდან ვლინდება, რომ მათ შეფასების სისტემასთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდათ, მაგრამ ამას მარტივად აგვარებენ, უშუალოდ ლექტორის ან დეკანის დახმარებით, არგუმენტების გაცვლითა და დასაბუთებით. სტუდენტების რაოდენობა დაბალანსებულია ქვეყნის ბაზრის გათვალისწინებით, რამეთუ უნივერსიტეტის პრიორიტეტი ხარისხიანი კადრების გამოშვებაა. პრინციპში, პლაგიატის გამოვლენის საჭიროების საკითხი არ დგას, რადგან სტუდენტები ჩართულნი არიან პროცესში და ლექტორებს არ უჭირთ მათი მუშაობის მონიტორინგი, რადგან ლექტორები უშუალოდ მონაწილეობენ პროექტების შექმნაში და

აქტიურად აკონტროლებენ პროცესს. ამიტომ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათი შეფასება მოსწავლის მიმართ ობიექტურია. საკონსულტაციო საათებში სტუდენტები, ძირითადად, დაინტერესებულნი არიან გაცვლითი პროგრამებით და მასწავლებლების პირადი გამოცდილებით. პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების ყველა მეთოდს.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების მეთოდებს და სტუდენტებთან გასაუბრებიდან გამოვლინდა, რომ მათი შეფასება ხდება გამჭვირვალედ და სამართლიანად. შეფასებით გამოწვეულ მცირე უკმაყოფილებაზე რეაგირებაც დროულად ხდება და ამ მხრივ ლექტორები უზრუნველყოფენ დასაბუთებულ უკუკავშირს.

სისტემატური კომუნიკაციისა და უკუკავშირის საშუალებით სტუდენტებსა და ლექტორებს საშუალება ეძლევათ იყვნენ გამჭვირვალე სასწავლო პროცესის მიმართ, დააკვირდნენ პროცესს და მოახდინონ დროული რეაგირება. ადმინისტრაცია ასევე მუდმივად ახორციელებს მონიტორინგს სტუდენტების კითხვარების გამოყენებით და, პერიოდულად, ადმინისტრაციის წარმომადგენლის თანდასწრებით, აკვირდება ლექციას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეხმარება ლექტორებს სილაბუსებისა და სწავლის შედეგების შემუშავებაში. იგი ასევე აძლევს ლექტორებს რეკომენდაციებს, რომ გამოიყენონ საგნის შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები და ამგვარად უზრუნველყონ კომპეტენციის სამართლიანი შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში და დანართები (ჩაბარებული დოკუმენტები)
- ადგილზე ვიზიტი
- გასაუბრებები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (e-learning და სხვა)
- სილაბუსები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები: N/A

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის: N/A

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვიზიტამდე ჩვენთვის მოწოდებულ თვითშეფასების ანგარიშზე და ვიზიტის დროს გამართულ დისკუსიებზე დაყრდნობით, გამოვლინდა რომ ვიზუალური ხელოვნების 4 წლიან საბაკალავრო პროგრამას აქვს მყარი და ძალიან მკაფიო სტრუქტურა, რაც უზრუნველყოფს კომპეტენტური პროფესიონალების მომზადებას საქართველოსა თუ უცხოეთის შემოქმედებითი ინდუსტრიისთვის. ამ სტრუქტურის აგებისას, მაქსიმალური ძალისხმევა დაიხარჯა, რომ იგი შესაბამისობაში ყოფილიყო საქართველოს კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან. გარდა ამისა, პროგრამის სტრუქტურა სრულად შეესაბამება ბოლონიის პროცესსა და კრედიტების განაწილების ევროპულ სისტემას.

პროგრამის სტრუქტურა შემუშავდა სხვადასხვა მოსაზრებების გათვალისწინებით, მათ შორის აკადემიური პერსონალის, სტუდენტების/კურსდამთავრებულების და დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინებით; განხორციელდა ასევე პროგრამის სტრუქტურის ბენჩმარქინგი ევროკავშირისა და აშშ-ს სხვა აღიარებულ დაწესებულებებთან.

შინაარსი და სტრუქტურა მოიცავს თეორიისა და პრაქტიკის ძალიან კარგ ბალანსს, რაც იძლევა სწავლებისა და სწავლის განვითარების შესაძლებლობას ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მეშვეობით. ვიზუალური კომუნიკაცია/მედია ხელოვნების სწავლის სფეროების დარგობრივი მახასიათებელი განისაზღვრება როგორც „შექმნა და შემოქმედებითობა“. ის თანამედროვე ტენდენციის მიხედვით, „საერთო მახასიათებლების

და საზიარო ფასეულობების“ ჭრილში ვითარდება და მოიცავს შვიდ საერთო მახასიათებელს:

- კონცეპტუალური აზროვნება, იდეის ფორმირება, განხორციელება და წარდგენა;
- ისტორია, თეორია და კულტურა;
- შემოქმედებითი პროცესების გადააზრება/გადაფასება, ინტერპრეტაცია;
- ექსპერიმენტული, ინოვაციური მიდგომები და თემატური კვლევები;
- ციფრული და ტექნოლოგიური ინსტრუმენტები/პროგრამული უზრუნველყოფა;
- კომუნიკაცია, კოლაბორაცია და ინტერდისციპლინარული ოპერირება;
- შემოქმედებითი მეწარმეობა.

ყველა საჭირო დოკუმენტაციამ, გასაუბრებებმა და შემოწმებებმა ცხადყო, რომ ეს პროგრამა და უნივერსიტეტი ნამდვილად აკმაყოფილებ ჩამოთვლილ პუნქტებს.

დარგში წარმატებული პროფესორების გუნდის დახმარებით, სტუდენტებს აქვთ წვდომა უახლეს ინფორმაციაზე. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, მათი პრიორიტეტია დაეხმარონ მომავალ პროფესიონალებს საკუთარი უნიკალური ვიზუალური ენის/ხედვის განვითარებაში. რასაც ისინი წლების განმავლობაში წარმატებით აკეთებდნენ და სწამთ, რომ ამ წლების განმავლობაში მოახერხეს მსგავსი პროგრამების კონკურენტულ გარემოში საკუთარი თავის დამკვიდრება და დიდი წვლილი შეიტანეს ქვეყნის მხატვრული სივრცის იმიჯის შეცვლაში, ასევე გავლენა მოახდინეს ქართულ დიზაინსა და ვიზუალურ ხედვაზე. ამას მოწმობენ მათი წარმატებული სტუდენტები, რომლებიც სისტემატურად გამოფენენ ნამუშევრებს სხვადასხვა გამოფენებზე და აქტიურად არიან დასაქმებულები. გასაუბრებიდან ირკვევა, რომ კარგი თანამშრომლობა აქვთ დამსაქმებლებთან, თუმცა ისინი კურიკულუმის შექმნისა და პროგრამის დახვეწის პროცესში ნაკლებად იყვნენ ჩართულები. დამსაქმებლებს მოგვიანებით გააცნეს უკვე სრულყოფილი პროგრამა. მიუხედავად ამისა, ისინი კარგად აფასებენ პროგრამის შედეგებს და კმაყოფილი არიან პროგრამის მიერ მოწოდებული პერსონალით. ისინი კმაყოფილნი არიან მათი მულტიდისციპლინური ცოდნით, რაც სხვადასხვა დამსაქმებლისთვის გულისხმობს მათ მოქნილობას, იქნება ეს კრეატიული სააგენტო, გამომცემლობა და ა.შ. ეს მულტიდისციპლინურობა გამომდინარეობს იქიდან, რომ უნივერსიტეტი არის ღია და სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა გაეცნონ სხვა ქვეყნების გამოცდილებას სასწავლო პროცესში, რასაც უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საერთაშორისო სტუმრების მოწვევით. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს და სტუდენტებთან შეხვედრისას აშკარა გახდა, რომ სტუდენტები დადებითად არიან განწყობილნი თავიანთი სასწავლო პროცესის მიმართ და მხარს უჭერენ მთლიანად უნივერსიტეტს. მათ განაცხადეს, რომ ხელახლა რომ მოუწიოთ არჩევა, კვლავ თავისუფალ უნივერსიტეტში აირჩევდნენ სწავლას, რამდენადაც სწამთ რომ ეს უნივერსიტეტი თავის სასწავლო გარემოში იყენებს ინოვაციებსა და სიახლეებს.

ძალიან სასიამოვნოა ისეთი დაწესებულების ხილვა, რომელიც ცდილობს შექმნას ისეთი გარემო და საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც არის საერთაშორისო დონის და საქართველოში ყველასათვის ხელმისაწვდომი.

სწავლების მეთოდები ასევე მოიცავს „სწავლებას სწავლისთვის“, თვითგანათლების უნარებისა და მომავალში ცოდნის განახლების კულტურის გასავითარებლად, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ამ სფეროში მუშაობისთვის; ეს შეესაბამება ევროკავშირის დირექტივას უწყვეტი განათლების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- გასაუბრებები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (e-learning და სხვა)

რეკომენდაციები: N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: N/A

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვიზიტამდე ჩვენთვის მოწოდებულ თვითშეფასების ანგარიშზე და ვიზიტის დროს გამართულ დისკუსიებზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის 4 წლიანი ციკლი და კონკრეტულად მისი კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევებს. სილაბუსები კარგად არის განსაზღვრული და ნათლად აღწერს სწავლა-სწავლების პროცესს. სილაბუსებში მითითებულია ყველა სასწავლო მასალა, როგორცაა ბიბლიოგრაფია, IT სერვისები და სხვა მასალები .

პროგრამის შესაბამისობა ბოლონის პროცესთან ასევე მხარს უჭერს და ამართლებს ურთიერთკავშირს პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს შორის. პროგრამისთვის განკუთვნილი ECTS-ის ოდენობა არის 240, რაც გულისხმობს ყოველწლიურად 60 კრედიტს და ითვალისწინებს საკონტაქტო საათებს, ასევე სტუდენტების პერსონალურ დროს თითოეული კურსის მიზნების მისაღწევად. ერთი კრედიტი შეესაბამება 25-30 სასწავლო საათს.

თითოეული აკადემიური კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება შესაბამისი პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც აისახება პროგრამის სწავლის შედეგებში. თითოეული კურსის/კომპონენტის ფარგლებში განსაზღვრული სწავლის შედეგები ფასდება შეფასების სისტემაში განსაზღვრული კომპონენტებისა და კრიტერიუმების/რუბრიკების საფუძველზე. აღნიშნული სისტემა დეტალურად არის აღწერილი კურსის სილაბუსებში, როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშშია ჩამოთვლილი. თითოეული პროგრამის ყველა კურსი კარგად არის შესწავლილი და აქტუალურია შესაბამისი თანამედროვე ტენდენციებისა და უახლესი ტექნოლოგიების გათვალისწინებით. სილაბუსებში ჩამოთვლილი სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები შეესაბამება სწავლის სფეროს მიღწევებს და ასევე ითვალისწინებს შესაბამის სფეროში უახლეს კვლევებს, მხედველობაში იღებს რა აკადემიური კურსის სპეციფიკას და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ზოგადად, სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალები, პროგრამის სტრუქტურის მემშვეობით, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- გასაუბრებები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე,

პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან.

- კურსის სილაბუსები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (e-learning და სხვა)

რეკომენდაციები: N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: N/A

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი მიღების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას, სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამაზე მისაღებად განსაზღვრულია გამჭვირვალე, სამართლიანი და საჯაროდ ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების მიღებას, პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამებზე სტუდენტების მიღება ხდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. მიღება ეფუძნება კომბინირებულ მიდგომას. პროცესი შედგება ორი კომპონენტისგან: შემოქმედებითი ტური (პორტფოლიოს მიმოხილვა) ერთიანი ეროვნული გამოცდები (ორი სავალდებულო საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა).

პროგრამაში მიიღებიან შემდეგი პირები:

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების (პრიორიტეტის მიხედვით ჩასაბარებელი საგნები) შედეგების საფუძველზე.

პროგრამაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხორციელდება შესაბამის ვადებში და დადგენილი წესით. კერძოდ, I. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლება უცხო ქვეყანაში; II. საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლება უცხო ქვეყანაში და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; III. იმ პირებისთვის, ვინც სწავლობს/ისწავლა და მიიღო კრედიტები უცხო ქვეყანაში, ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტების მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის #10/ნ ბრძანებითა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

შემუშავებულია სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და მის შესაბამისად ხორციელდება პროგრამებზე მიღება. მისაღები კონტინგენტის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია სახელოვნებო პროგრამების სპეციფიკა, არსებული ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსები. შესაბამისად, მიღებული სტუდენტების რაოდენობა დაბალანსებულია.

აღწერა და ანალიზი - ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა 6 საფეხური

შემოქმედებითი ტურის (პორტფოლიოს განხილვის) მოთხოვნები განისაზღვრება ყოველწლიურად, რექტორის ბრძანებით და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მათი ნახვა უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

შემოქმედებითი ტური (პორტფოლიოს მიმოხილვა) შედგება ორი ეტაპისგან: 1) ციფრული პორტფოლიოს წარდგენა; 2) გასაუბრება შერჩეულ კანდიდატებთან.

შემოქმედებითი ტურის ფარგლებში, (პორტფოლიოს განხილვა) აბიტურიენტებს აფასებს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომისია. ზემოაღნიშნული მოთხოვნები უზრუნველყოფს პროგრამაში დაშვების გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს პროგრამისთვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და ინტერესების მქონე სტუდენტების ჩარიცხვას.

პროგრამაში დაშვების მნიშვნელოვანი კომპონენტია შემოქმედებითი ტური – კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ ციფრული პორტფოლიო და გაიარონ გასაუბრება. ასეთი ფორმა სახელოვნებო სფეროში დადებითად უნდა შეფასდეს. პროგრამას აქვს კარგი პრაქტიკა მიღების კუთხით - გაზრდილია ღია კარის დღეების რაოდენობა და შემოქმედებითი ტურის დეტალების შესახებ დამატებითი ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომია.

შეგვიძლია დავასკვნათ , რომ სტუდენტები საბაკალავრო საფეხურზე მიიღებიან დადგენილი წესით; სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ჩაბარების დროს მათთვის ყველა საკითხი გასაგები იყო და მიიჩნევენ, რომ გამოცდების სირთულის დონე შეესაბამება ზოგადი განათლების შედეგად მიღებულ ცოდნის დონეს. მათთვის გასაგებია შემოქმედებითი ტურის პირობები და ამოცანაც.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სტუდენტური კონტინენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია
- ვებგვერდი
- პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები: N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: N/A

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შეფასება და ანალიზი

ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს პრაქტიკულ და სტუდიაზე დაფუძნებულ საგნებზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტუდენტური გამოფენები გადამწყვეტ როლს ასრულებს სასწავლო პროცესში. როგორც წესი, სემესტრში ორი გამოფენა ეწყობა თითოეული სტუდიური საგნისთვის. პრაქტიკაზე დაფუძნებულ საგნებში სტუდენტები მონაწილეობენ VA[A]DS საგამოფენო სივრცეებში გამართულ 20-ზე მეტ საჯარო გამოფენაში, რაც დიდად უწყობს ხელს მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას.

პროგრამის სილაბუსები აჩვენებს, რომ სხვადასხვა დისციპლინაში სხვადასხვა აქცენტები კეთდება და პრიორიტეტებიც გადანაწილებულია სახელოვნებო განათლებისთვის მნიშვნელოვანი უნარების განვითარებისთვის.

ხელოვნების სფეროში სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამა ზრუნავს პრაქტიკულ-შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე - ეს აისახება როგორც სტუდიური მუშაობის პროცესში, ასევე სტუდენტებისთვის რეგულარულად გამართულ გამოფენებში.

პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია უცხოელ კოლეგებთან მხატვრული თანამშრომლობაც - პროგრამაც ასე მუშაობს.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება განათლების სამივე საფეხურზე ხდება შესაბამისი, განსხვავებული ფორმებით და უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ხელოვნების სფეროში კარგი ცოდნისა და უნარების შექმნას.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა და სილაბუსები
- პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროფესორებთან, მოწვეულ მასწავლებლებთან, სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები
- ვებგვერდი <https://freeuni.edu.ge>
- თვითშეფასების ანგარიში;

რეკომენდაციები: N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: N/A

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს კურიკულუმის მიზნის მიღწევის მეთოდებს, რომელიც ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების განვითარებაზე. პროგრამა იყენებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება თითოეული კურსის მიზანს. გამოიყენება შემდეგი მეთოდები :

- ვერბალური
- ტექსტზე დაფუძნებული
- წერილობითი

- გუნდური მუშაობა
- პრობლემაზე დაფუძნებული
- დემონსტრირება,
- ინდუქციური
- დედუქციური
- ანალიზი
- სინთეზი
- პრაქტიკა
- განმარტებითი
- ინტერაქტიული
- შედარებითი
- მოქმედებაზე ორიენტირებული
- თანამშრომლობითი
- განხილვა/ დებატები

პროგრამის აღწერა და სილაბუსი მოწმობს, რომ პროგრამა იყენებს სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდს. მნიშვნელოვანია, რომ ამ მეთოდების შემოქმედებით გამოყენებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე მოწვეული ლექტორები. მოწვეული ლექტორები კარგად არიან ჩართულნი ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა დისციპლინაში სხვადასხვა მეთოდებს მიენიჭოს პრიორიტეტი.

პროგრამებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი და ინტეგრირებული მეთოდები გვამღევეს საფუძველს გამოვიტანოთ დასკვნები, რომ პროგრამები ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენებით. ამას ადასტურებენ სტუდენტები, რომლებიც საუბრობენ ხელოვნების სფეროსთვის აუცილებელ სასწავლო/შემოქმედებით- დარგობრივად ორიენტირებულ მეთოდებზე, რომლებიც კარგად შეეფერება დარგში ინდივიდუალური ინტერესების განვითარებას.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

არ არის საჭირო

მტკიცებულება/ინდიკატორები

- o საბაკალავრო პროგრამა
- o პროგრამის სილაბუსები
- o პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და პროფესორებთან, სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები: N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: N/A

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტის შეფასება ხორციელდება დადგენილი გამჭვირვალე, სანდო პროცედურების მიხედვით და კანონმდებლობის შესაბამისად. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ეფუძნება მიღებული ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს.

სტუდენტის მიერ სემესტრის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შეფასება ითვალისწინებს შეფასებას სემესტრის განმავლობაში და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. პროგრამის განხორციელებისა და აკადემიური დისციპლინების სწავლების დროს, სტუდენტის აკადემიური მოსწრება თითოეულ დისციპლინაში ფასდება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემით (ECTS). სტუდენტების შეფასებისთვის გამოიყენება 100 ქულიანი სისტემა. საგანმანათლებლო კომპონენტის შეფასება 100-ქულიანი და მრავალკომპონენტია.

შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის მოცემული კონკრეტული საგნის სილაბუსში.

თითოეული კომპონენტის შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები მოცემულია საგნის სილაბუსში. შეფასების ფორმები და კომპონენტები შეესაბამება საგნის სწავლის შედეგებს.

შეფასების კომპონენტები და მათი სპეციფიკური წილი ასახულია თითოეული სასწავლო კომპონენტის სილაბუსში. ასევე, პროგრამაში აღწერილია შუალედური თუ დასკვნითი გამოცდის ფორმატი და ნებისმიერი კურსის შეფასების კრიტერიუმები. პროგრამას თან ახლავს შეფასების კრიტერიუმები. მაქსიმალური დადებითი შეფასება 100 ქულაა, მინიმალური დადებითი შეფასებაა 51 ქულა.

ამ სისტემის მიხედვით შეფასება მკაფიო და გამჭვირვალეა.

შეფასების სისტემა განსხვავდება კომპონენტების და ასევე დისციპლინების მიხედვით. მაგალითად: 1) აქტივობა - 30 ქულა, პირველი შუალედური გამოცდა - 15, მეორე შუალედური გამოცდა - 15, დასკვნითი გამოცდა - 40; (შესავალი თანამედროვე ხელოვნებაში) 2) აქტივობა - 30 ქულა, შუალედური გამოცდა - 30, დასკვნითი გამოცდა - 40. (ხატვის სტუდია).

სახელოვნებო განათლების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების სისტემა ითვალისწინებს სხვადასხვა ფორმის აქტივობების შეფასებას. ეს დამოკიდებულია დისციპლინების ხასიათზე. მოსწავლეები ფასდებიან წერილობითი ტესტით და პრეზენტაციით, ასევე პროექტით, პრაქტიკული სამუშაოებითა და საგამოფენო და სხვა აქტივობებით.

შეხვედრებზე დაისვა კითხვები შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელსაც, პროფესორსაც და მოწვეულ მასწავლებლებსაც აქვთ ამ საკითხის კარგად ჩამოყალიბებული ხედვა, კარგად ერკვევიან ნიუანსებში; მოვისმინეთ არგუმენტები როგორც კომპონენტების თანაფარდობაზე, ასევე კრიტერიუმებზე. პედაგოგები საუბრობენ კონკრეტული დისციპლინების მაგალითებზე, ასევე ზოგადად შეფასების სისტემაზე.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის სილაბუსები
- პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ მასწავლებლებთან, სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები: N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: N/A

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4.	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**სტუდენტების
შეფასება:**

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, ათვისების ადეკვატურობა პროგრამის შეფასების	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში შემოთავაზებული სერვისები შექმნილია სტუდენტების წარმატების მხარდასაჭერად. სტუდენტებს აქვთ წვდომა ყოვლისმომცველ ინფორმაციაზე და საკონსულტაციო სერვისებზე. ეს ეხმარება მათ განსაზღვრონ თავიანთი აკადემიური პროფილი, დაგეგმონ სწავლა და გააუმჯობესონ მიღწევები. ეს სერვისები მოიცავს სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის ადმინისტრაციულ დახმარებას, სოციალურ მხარდაჭერას და რესურსებს კარიერის განვითარებისა და დასაქმების კუთხით კონსულტაციებისთვის.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი მოწოდებულია, დაიცვას თავისი სტუდენტების უფლებები და ლეგიტიმური ინტერესები, როგორც ეს ასახულია მის შინაგანაწესსა და მარეგულირებელ დოკუმენტებში.

ჩარიცხვისას ყველა სტუდენტთან იდება ხელშეკრულება, რომელიც აყალიბებს ფორმალურ ურთიერთობას სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის. ეს ხელშეკრულება ცალსახად ასახავს სტუდენტის უფლებებს და წარმოადგენს სამართლებრივ გარანტიას, რომ ეს უფლებები სრულად იქნება დაცული.

უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები, მათ შორის, ბაკალავრიატის დებულება და სტუდენტური ეთიკის კოდექსი, ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ეს დოკუმენტები სრულყოფილად ასახავს სტუდენტების უფლებებს, მოვალეობებს და შესაძლებლობებს საგანმანათლებლო სისტემაში. ისინი სტუდენტებს აწვდიან დეტალურ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უფლება აქვთ სტუდენტებს აკადემიურ პროცესში და როგორ არის დაცული მათი ლეგიტიმური ინტერესები კონკრეტულ გარემოებებში. ამ დოკუმენტების საჯაროდ ხელმისაწვდომობით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ხელს უწყობს სტუდენტების მიერ მათი უფლებებისა და მოვალეობების გააზრებას.

ზემოაღნიშნულ დოკუმენტებთან ერთად, არსებობს დამატებითი რესურსები, რომლებიც ასახავს საგამოცდო პროცედურებს, შიდა და გარე მობილობის პროცესებს და შესაბამის პროცედურებს. ეს დოკუმენტები იძლევა ამომწურავ ინფორმაციას საუნივერსიტეტო სისტემის ფარგლებში სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომ უფლებებსა და შესაძლებლობებზე.

სწავლის დასაწყისში სტუდენტები, პირველ სემესტრამდე, მოსამზადებელ პერიოდში, იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. ამ დოკუმენტებზე წვდომის ბმულები ეგზავნებათ სტუდენტებს ელექტრონული ფოსტით, რაც უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციაზე მარტივ და სწრაფ წვდომას.

დეკანი, რომელიც ასევე არის პროგრამის ხელმძღვანელი, და ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის კოორდინატორი, პასუხისმგებელი არიან სასწავლო პროცესის შემუშავებაზე და პროგრამის ფარგლებში აკადემიური მიღწევების ამაღლებაზე.

სკოლის დეკანი პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის სხვადასხვა ასპექტის ზედამხედველობაზე. ისინი გადამწყვეტ როლს ასრულებენ საგანმანათლებლო მასალებისა და სილაბუსების შემუშავებასა და განახლებაში, ხელს უწყობენ პროგრამის შემუშავებას, ლექტორებს ხელმძღვანელობენ, მონაწილეობენ აკადემიური პერსონალის შერჩევაში და აკონტროლებენ სკოლის კოორდინატორს. გარდა ამისა, დეკანი ჩართულია უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და პროგრამის აკრედიტაციის პროცესებთან დაკავშირებულ საქმიანობებში.

სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ყოველთვის შეუძლიათ დახმარებისთვის დაუკავშირდნენ პროგრამის ხელმძღვანელს და კოორდინატორს. უფრო მეტიც, ინდივიდუალური მხარდაჭერა ხელმისაწვდომია სტუდენტების კონკრეტული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად. პროგრამის ყველა ფაკულტეტის წევრი, არჩეული თუ მოწვეული, მზად არის

უზრუნველყოს სტუდენტებისთვის პერსონალური ხელმძღვანელობა და კონსულტაცია საჭიროების შემთხვევაში.

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში, სტუდენტების კანონიერი უფლებების დაცვა ინსტიტუციონალიზებულია და უზრუნველყოფილია სტუდენტების დეკანის არსებობით, რომელიც ხელმძღვანელობს კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა და პერსპექტიულ სტუდენტთა ოფისს და სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, ემსახურება როგორც პირველადი საკონტაქტო პუნქტი.

როგორც შუამავალი, დეკანი ავსებს ნაპრალს სტუდენტებსა და უნივერსიტეტის აკადემიურ ან ადმინისტრაციულ მენეჯმენტს შორის, გამოხატავს და აგვარებს სტუდენტების წინაშე არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს.

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა და პერსპექტიულ სტუდენტთა ოფისი გადამწყვეტ როლს ასრულებს სტუდენტებისთვის შემეცნებითი პროექტების დანერგვისა და განვითარების საქმეში. ისინი აწვდიან სტუდენტებს მნიშვნელოვან ინფორმაციას, სთავაზობენ დახმარებას სხვადასხვა საკითხების გადაჭრაში, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სწავლის პერიოდში; ასევე აწყობენ სტუდენტურ ღონისძიებებს. გარდა ამისა, ოფისი კოორდინაციას უწევს სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში და სხვა შესაბამის ინიციატივებში.

კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა და პერსპექტიულ სტუდენტთა ოფისის მნიშვნელოვანი კომპონენტია კარიერის განვითარების სამსახური. ეს სერვისი ემსახურება თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების მხარდაჭერას. ისინი რეგულარულად ურთიერთობენ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან რათა ხელი შეუწყონ დასაქმების შესაძლებლობებს და სტუდენტთა პროფესიულ კონტაქტებს.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კარიერული განვითარების სამსახური აქტიურ როლს ასრულებს შრომის ბაზრის მონიტორინგსა და ანალიზში. სისტემატური კვლევების საფუძველზე, სამსახური იღებს აუცილებელ ზომებს სტუდენტებისთვის კარიერული შესაძლებლობების შესაქმნელად და გასაძლიერებლად. ის აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სექტორთან, მათ შორის კერძო კომპანიებთან, საჯარო დაწესებულებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

კარიერული განვითარების მენეჯერი ინარჩუნებს აქტიურ კომუნიკაციას კომპანიების ფართო სპექტრთან, როგორც საჯარო და კერძო სექტორში, ასევე გალერეებთან, მუზეუმებთან და სხვა სახელოვნებო დაწესებულებებთან. ინფორმაცია მიმდინარე ვაკანსიების შესახებ ყოველდღიურად ეგზავნებათ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს და ეს მოიცავს სამუშაოს დეტალური აღწერილობის მიწოდებას, რათა სტუდენტებმა შეაფასონ მათი ინტერესი და კვალიფიციურობა შესაბამის პოზიციებზე. გარდა ამისა, სტუდენტებს ხშირად უტარდებათ დამატებითი კონსულტაციები და რეკომენდაციები ამ განყოფილებაში.

CV-ის შედგენისა და გასაუბრების უნარების ტრენინგი:

კარიერული განვითარების სამსახური სტუდენტებისთვის სემესტრში რამდენჯერმე აწყობს ტრენინგებს, რომლის მიზანია დაეხმაროს მათ ეფექტური რეზიუმეს დაწერაში, საკუთარი უნარების გაგებასა და გასაუბრებებზე წარმატების მიღწევაში. ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის მოცემულია დამატებითი სახელმძღვანელო ეფექტური პორტფოლიოს შექმნაზე. ეს ტრენინგები განსაკუთრებით ღირებულია უმცროსი სტუდენტებისთვის, რომლებსაც შეზღუდული გამოცდილების გამო, შესაძლოა მეტი ზეწოლა ჰქონდეთ კარიერის დაგეგმვისას. ტრენინგების დრო და ხანგრძლივობა დაგეგმილია აკადემიური განრიგის გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტების ლექციასა და სემინარზე დასწრების მინიმალური შეფერხება.

დასაქმების ფორუმის ორგანიზება:

